ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. ივნისის 29. № 16 ტფილისი

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება

99. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულებისათვის მე-IV თავი დამატების შესახებ.

სახელმწიფო მმართველობა

100. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე პოლიგრაფიულ საწარმოთა გახსნის და მათი მოქმედებისათვის ზედამხედველობის გაწევის წესის და საბეჭდავი მანქანებისა, შრიფტებისა, სამრავლებელი აპარატებისა და მათი ხელსაწყოების გაცემისა და გაყიდვის წესის თაობაზე“ გამოცემულ დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

101. ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმეთა მთავარი სამმართველოს ორგანებში სამრავლებელი მანქანების და აპარატების სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

102. „საქართველოს სსრ-ში მასალით და გაწყობილობით მომარაგების წლიური და კვარტალური ბალანსებისა და გეგმების შედგენისა და დამტკიცების წესის თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების დამატების შესახებ.

სამოქალაქო სამართალი

103. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 44^1 და 44^2 მუხლების შეცვლის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

104. კოლექტიური მეურნეობების საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროების დებულების მე-7-მუხლის „ბ“ და „ე“ პუნქტისა და კოლმეურნეთა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროს დროებითი ტიპური წესდების მე-12 მუხლის „ბ“ და „ე“ პუნქტების განმარტების შესახებ.

სათევზაო და სანადირო მეურნეობა

105. საქართველოს სსრ-ში თევზდაცვის ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

106. ნუტრიაზე (კოიპუ) ნადირობის აკრძალვის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

107. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და ნედლეულის დამზადებასა, გადაზიდვასა, გადამუშავებასა, შენახვასა და გაყიდვასთან დაკავშირებულ დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

108. გორის საკონსერვო ქარხნისათვის 1935 წლის მოსავლის ბადრიჯნის კონტრაქტაციისა და დამზადების დამატებითი გეგმის შესახებ.

ტრანსპორტი

109. საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო საავტომობილო ინსპექტორების უფლებათა შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

110. მხატვართა და მოქანდაკეთა საბინაო უფლების შესახებ.

ფინანსები

111. „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა“ თაობაზე გამოცემული დადგენილების I, 21 და 23 მუხლების შეცვლისა და იმავე დადგენილებისათვის 1[1] და 30 მუხლების დამატების შესახებ.

112. სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების საარგებლოდ კინო—თეატრების ადგილობრივი გადასახადიდან ანარიცხების გადადების დაწესების შესახებ.

შრომა

113. „შრომის გმირთა თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შეცვლის შესახებ.

114. მასობრივი სკოლების პედაგოგიური პერსონალისა და მომუშავეთა სხვა კატეგორიებისათვის, რომლებიც სამუშაო ხელფასს ადგილობრივი ბიუჯეტიდან იღებენ, თავის დროზე სამუშაო ხელფასის მისაცემად საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

სისხლის სამართალი

115. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისათვის 1102 მუხლის დამატების შესახებ.

116 სისხლის სამართლის კოდექსის 112 და 190 მუხლების ამოშლის შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

117. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 297 მუხლის შეცვლის შესახებ.

118. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულებიდან მე-9 და მე-20 მუხლების ამოშლის შესახებ.

სახელმწიფო წყობილება

99. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულებისათვის მე-IV თავის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულებას (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-19 №-ი, მუხ. 146; 1934 წ. მე-19 №-ი, მუხ. 157, მე-II კარის მე-2 პუნქ.; 28 №-ი, მუხ. 211; 1935 წ. მე-5 №-ი, მუხ, 22) დაემატოს მე-IV თავი (მუხ. 22) შემდეგი შინაარსისა:

თ ა ვ ი IV.

„საბჭოები საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებთან.“

„22. თვითეულ სახალხო კომისარიატთან ეწყობა საბჭო 40-დან 70 კაცამდე, რომელთა შორის არა ნაკლებ ნახევარი შედგენილობისა უნდა იყვნენ ადგილობრივ ორგანიზაციათა და საწარმოთა წარმომადგენელნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს წევრებს ნიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო სათანადო სახალხო კომისარიატის წარდგენით.

საბჭო მოიწვევა ორ თვეში ერთხელ."

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1935 წ. მაისის 11. № 37/651.

ტფილისი.

სახელმწიფო მმართველობა

100. დადგენილება ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე პოლიგრაფიულ საწარმოთა გახსნის და მათი მოქმედებისათვის ზედამხედველობის გაწევის წესისა და საბეჭდავი მანქანებისა, შრიფტებისა, სამრავლებელი აპარატებისა და მათი ხელსაწყოების გაცემისა და გაყიდვის წესის თაობაზე" გამოცემულ დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1933 წლის იანვრის 10-ის დადგენილებაში „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე პოლიგრაფიულ საწარმოთა გახსნის და მათი მოქმედებისათვის ზედამხედველობის გაწევის წესისა და საბეჭდავი მანქანებისა, შრიფტებისა, სამრავლებელი აპარატებისა და მათი ხელსაწყოების გაცემისა და გაყიდვის წესის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-4 №-ი, მუხ. 48) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. 1-ლ მუხლში სიტყვები „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი საქმის ქომიტეტთან" შეიცვალოს სიტყვებად: „საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული, ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმეთა მთავარ სამმართველოსთან"

2. 1-ლი მუხლის შენიშვნა გაუქმებულ იქნას.

3. მე-4, 6 და 7 მუხლებში სიტყვები „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი საქმის კომიტეტთან„ შეიცვალოს სიტყვებად: „ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმეთა მთავარ სამმართველოსთან".

4. მე-6 და 7 მუხლებში სიტყვები „საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან" შეიცვალოს სიტყვებად „საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან".

5. მე-8 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„8. ამა დადგენილების დარღვევა იმ შემთხვევაში, რომელზედაც არა

ას მანეთამდე ან იძულებით მუშაობას ერთ თვემდე, რაც დაიდება საადმინისტრაციო წესით ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულების თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 207; 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 236).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. მაისის 19. № 641.

ტფილისი.

---

101. დადგენილება ს.კ.ს.

056.27

ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმეთა მთავარი სამმართველოს ორგანოებში სამრავლებელ მანქანების და აპარატების სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ.

1. დაწესებულ იქნას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედ ყველა სახის სამრავლებელი მანქანების (სასტამბო, სალითოგრაფიო, საცინკოგრაფიო, მინით საბეჭდავი, შაპიროგრაფი, როტატორი და სხვ.) სავალდებულო რეგისტრაცია საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ სამმართველოს („მთავლიტი") ორგანოებში.

2. ყველა დაწესებულება, საწარმო, ორგანიზაცია და პირი, რომელიც ეწევა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საგამომცემლო მუშაობას, ან რომელსაც თავის განკარგულებად აქვს რაიმე სამრავლებელი მანქანა ან აპარატი, ვალდებულია დაარეგისტროს ეს მანქანა და აპარატი: ტფილისში—ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ სამმართველოში, ხოლო რესპუბლიკის სხვა ადგილას—ამ მთავარ სამმართველოს ადგილობრივ ორგანოში სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან (საქალაქო საბჭოსთან), კუთვნილებისამებრ.

3. სამრავლებელი მანქანების და აპარატების რეგისტრაციის დროს წარდგენილ უნდა იქნას შემდეგი ცნობები:

ა) იმ დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ან პირის სახელწოდება, რომლის გამგებლობაშიაც არის სამრავლებელი მანქანა ან აპარატი;

ბ) დაწესებულების, საწარმოს და ორგანიზაციის ხელმძღვანელის გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი;

გ) სამრავლებელი მანქანის ან აპარატის სახე და ტიპი;

დ) სამრავლებელი მანქანის ან აპარატის მოთავსების ადგილი.

4. სამრავლებელი მანქანების და აპარატების რეგისტრაციის წესს და ვადას ამყარებს და საყოველთაოდ აქვეყნებს ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმეთა მთავარი სამმართველო.

5. ამა დადგენილების აღსრულებისათვის თვალყურის დევნება ეკისრება მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებს.

6. ამა დადგენილების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას—ჯარიმას ას

�иоо წესით, ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულების თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-20 №, მუხ. 207; 1932 წ. № 24, მუხ. 236).

7. მიენდოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ანალოგიური ღონისძიებანი ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1935 წ. მაისის 19. № 642

ტფილისი

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 122 №-ში 1935 წ. მაისის 27.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

102. დადგენილება ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ-ში მასალით და გაწყობილობით მომარაგების წლიური და კვარტალური ბალანსებისა და გეგმების შედგენისა და დამტკიცების წესის თაობაზე" გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მე-2 მუხლს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. თებერვლის 22-ის თარიღისა და 204 №-ის დადგენილებისას „საქართველოს სსრ-ში მასალით და გაწყობილობით მომარაგების წლიური და კვარტალური ბალანსებისა და გეგმების შედგენის და დამტკიცების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 10, მუხ. 51) დაემატოს „ტ" პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„ტ. საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალურ კომიტეტს"

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. მაისის 16. № 622.

ტფილისი.

სამოქალაქო სამართალი

103. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 44[1] და 44[2] მუხლების შეცვლის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სახელმწიფო ორგანოებსა, კოლმეურნეობებსა, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის დავათა გამო სასარჩელო

ხანდაზმულობის ვადების შესახებ (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 44 №-ი, მუხ. 347) და არასათანადო ხარისხის საქონლის მიწოდებიდან გამომდინარე დავათა გამო სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების შესახებ (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 52 №-ი, მუხ. 404) 1934 წლის სექტემბრის 3-ის და 1934 წლის ოქტომბრის 7-ის გამოცემული დადგენილებების შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 44¹ და 44² მუხლები (საქართველოს სსრ კან. კრ. 1932 წ. 17 №-ი, მუხ. 132; 1933 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 6) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„44¹— სარჩელის უფლება სახელმწიფო საწარმოებსა და დაწესებულებებს, კოლმეურნეობებსა, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის დავათა გამო, გარდა იმ დავისა, რაც აღნიშნულია ამა მუხლის მე-2 ნაწილში, ისპობა წლინახევრის გასვლისას.

სასარჩელო ხანდაზმულობის განსაკუთრებული ვადები ამა მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ საწარმოებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის დავათა გამო დაწესებულია:

ა) ჯარიმისა, საურავისა და პირგაუტეხელობის ჯარიმის გადახდევინების შესახები მოთხოვნისათვის—ექვსი თვის ვადა;

ბ) არასათანადო ხარისხის საქონლის მიწოდებიდან გამომდინარე მოთხოვნისათვის—ექვსი თვის ვადა (საქონლის არასათანადო ხარისხის შესახებ აქტის შედგენის დღიდან);

გ) სარკინისგზო, საწყალსავლო და საჰაერო გადაზიდვათა შესახები მოთხოვნისათვის და აგრეთვე კავშირგაბმულობის ორგანოებისადმი წარსადგენი კლიენტურის მოთხოვნისათვის—ექვსი თვის ვადა;

დ) შერეულ სარკინისგზო-საწყალსავლო და სარკინისგზო-საწყალსავლო-საჰაერო გადაზიდვათა მოთხოვნისათვის—ერთი წლის ვადა;

ე) იმ ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნისათვის, რაც სავაჭრო ნაოსნობის კოდექსით რეგულირდება,—აღნიშნული კოდექსის 241 მუხლით გათვალისწინებული ვადები“.

(44¹ მუხლის შენიშვნა გაუქმებულ იქნას).

„44². სახელმწიფო დაწესებულებებსა და საწარმოებსა, კოლმეურნეობებსა, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის აღძრულ დავათა გამო მიღებული გადაწყვეტილების აღსასრულებლად წარდგენისათვის დაწესებულია ერთი წლის ვადა“.

II.

44¹ მუხლის პირველ ნაწილში და ამავე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტში აღნიშნული ვადები ვრცელდება იმ პრეტენზიებზე, რომლებზედაც სარჩელის აღძვრის უფლება წარმოიშვა 1933 წლის დეკემბრის 31-ის შემდეგ, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობათა ყველა პრეტენზიაზე, რომლის მიმართ ხანდაზმულობის აღნიშნული ვადები არ გასულა ამ ვადების შემოღებამდე.

44[1] მუხლის მეორე ნაწილის „გ" პუნქტში აღნიშნული ვადა ვრცელდება ყველა პრეტენზიაზე, რომლის მიმართ ეს ვადა არ გასულა მის შემოღებამდე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1935 წ. მაისის 11. № 35/649.

ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

104. დადგენილება ს.კ.ს.

152.32

კოლექტიური მეურნეობების საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროების დებულების მე-7 მუხლის „ბ" და „ე" პუნქტისა და კოლმეურნეთა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროს დროებითი ტიპური წესდების მე-12 მუხლის „ბ" და „ე" პუნქტების განმარტების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განმარტებულ იქნას, რომ კოლექტიური მეურნეობების საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროების დებულების მე-7 მუხლის „ბ" და „ე" პუნქტისა (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-20 №-ი, მუხ. 160) და კოლმეურნეთა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროების დროებითი ტიპური წესდების მე-12 მუხლის „ბ" და „ე" პუნქტების (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-14 №-ი, მუხ. 202) თანახმად, ამ სალაროებს გადაეცემათ ლიკვიდირებული გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოების მთელი ქონება და აგრეთვე ჯარიმები და სხვა თანხები, რასაც სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოები გადასწყვეტენ სალაროების სასარგებლოდ.

2. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—აღკვეთონ აღნიშნული ქონებისა და თანხების სხვაგვარად გამოყენება, ხოლო ფინანსთა სახალხო კომისარიატს—მისცეს სათანადო დირექტივები ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი ა. ქავთარაძე.

1935 წ. მაისის 7. № 557.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 122 №-ში. 1935 წ. მაისის 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათევზაო და სანადირო მეურნეობა

105. დადგენილება ს.კ.ს.

372

საქართველოს სსრ-ში თევზდაცვის ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

აღნიშნავს-რა, რომ,—ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ თევზდაცვის ღონისძიებათა არასაკმარისად განხორციელებისა და მეთევზეობისა და თევზმოშენების მრეგულირებელი აზოვ-შავიზღვის სამმართველოს საქართველოს განყოფილების თევზ ზედამხედველობის აპარატის ძალანაკლებობის გამო,—აქამდე აღმოფხვრილი არ არის ონავრული მეთოდები თევზის ჭერისა ცალკეულ წყალსატევებში, როგორიცაა აფეთქებადი ნივთიერებით თევზის გაბრუება, წყალსატევების მოწამლვა და სხვა მისთ., და რაც ანადგურებს ქორფა თევზს, გამოუსწორებელ ვნებას აყენებს თევზის რესურსების რეპროდუქციის საქმეს და მთლად აქარწყლებს ხელოვნურად თევზის მოშენებისათვის სახელმწიფოს მიერ მიღებულ ღონისძიებათ, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს გამოსცენ სპეციალური სავალდებულო დადგენილებანი თევზდაცვის გაძლიერებისა და რაიონებში თევზის გაბრუებისა და წყალსატევების მოწამლვის პრაქტიკის აღმოფხვრის შესახებ, აგრეთვე საგუბრების გამართვისა, ფაცერისა და ოჩხის მოწყობისა და საერთოდ თევზის ჭერის სხვა ისეთი ხერხის აკრძალვის შესახებ, რაც არღვევს მოქმედ წესებს თევზის ჭერისას.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს მისცეს პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებს მითითებანი—უცილობლად პასუხისგებაში აძლიონ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 83 მუხლის თანახმად, თევზის ჭერის წესების დარღვევაში დამნაშავე პირნი და სასწრაფოდ გადაწვიტონ საქმეები მათ შესახებ.

3. წინადადება მიეცეს მეთევზეობისა და თევზმოშენების მრეგულირებელი აზოვ-შავიზღვის სამმართველოს საქართველოს განყოფილებას—გააძლიეროს თევზ-ზედამხედველობის აპარატი საქართველოს სსრ რესპუბლიკაში 1935 წელს საამისოდ ბიუჯეტით გადადებული სახსრის ფარგლებში.

4. დაევალოს მეთევზეობისა და თევზმოშენების მრეგულირებელი აზოვ-შავიზღვის სამმართველოს საქართველოს განყოფილებას—ჩაატაროს ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა თევზის სანახების დაცვის მნიშვნელობის საკითხის გამო და აგრეთვე უზრუნველყოს თევზის ჭერის წესებისა და მეთევზეობის და თევზმოშენების შესახები მასური ლიტერატურის ქართულ ენაზე გადათარგმნა და გამოცემა.

5. დაევალოს მეთევზეობის და თევზმოშენების მრეგულირებელ აზოვ-შავიზღვის საქართველოს განყოფილებას—გაუწიოს ყოველი ღონისძიებით დახ

მარება კოლექტიურ მეურნეობებს მიგდებულ და დაჭაობებულ ფართობებზე თვით კოლექტიური მეურნეობების შიგნით სათევზო მეურნეობების გაშლის საქმეში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. აპრილის 21. № 517.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 143 №-ში 1935 წ. ივნისის 21.

---

106. დადგენილება ს.კ.ს.

ნუტრიაზე (კოიპუ) ნადირობის აკრძალვის შესახებ.

ნუტრიაზე (სამხრეთ-ამერიკული მღრღნელი კოიპუ) ნადირობის აკრძალვის შესახებ გამოცემული, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის თებერვლის 26-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს საქართველოს სსრ ფარგლებში ნუტრიაზე (სამხრეთ-ამერიკული მღრღნელი კოიპუ) ნადირობა.

2. ამა დადგენილების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის 89 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. მაისის 16. № 619.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 123 №-ში 1935 წ. მაისის 28.

ვაჭრობა. მომარაგება.

107. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და ნედლეულის დამზადებასა, გადაზიდვასა, გადამუშავებასა, შენახვასა და გაყიდვასთან დაკავშირებული დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. უფლება მიეცეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების კომიტეტის სათვისებო სახელმწიფო ინსპექციის ორგანოებს (საქართველოს სსრ-ში): პურის სახელმწი-

ფო ინსპექციას, ხილბოსტნეულის სახელმწიფო ინსპექციას და ნედლეულის სახელმწიფო ინსპექციას—ამ ინსპექციების ნომენკლატურაში შემავალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და ნედლეულის დამზადებასა, გადაზიდვასა, გადამუშავებასა, შენახვასა და გაყიდვასთან დაკავშირებულ დარღვევათათვის დაადვან საადმინისტრაციო წესით ჯარიმა არა უმეტეს ასი მანეთისა.

ადმინისტრატიული გადასახდელი შეიძლება დაიდვას ისეთი დარღვევისათვის, რაც არ შეიცავს სასამართლოს წესით სადევნელი დანაშაულის ნიშნებს.

2. გადასახდელს ადებენ სათვისებო სახელმწიფო ინსპექტორები ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულებით დადგენილი წესების მიხედვით (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 207; 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 236). საჩივარი გადასახდელის დადებაზე შეიტანება საქართველოს სათვისებო სახელმწიფო ინსპექციის სამმართველოში.

3. უკეთუ ჯარიმა ნებაყოფლობით არ იქნა გადახდილი, მას იძულებით ახდევინებს მილიცია.

4. ინსტრუქციას ამა დადგენილების შეფარდებისათვის გამოსცემს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული (საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან), ა/კსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რესპუბლიკანურ სამმართველოსთან შეფარდებით.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1935 წ. მაისის 11. № 38/652.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 142 №-ში 1935 წ. ივნისის 20.

---

108. დადგენილება ს.კ.ს.

გორის საკონსერვო ქარხნისათვის 1935 წლის მოსავლის ბადრიჯნის კონტრაქტაციისა და დამზადების დამატებითი გეგმის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას 1935 წლის მოსავლის ბადრიჯნის კონტრაქტაციისა და დამზადების დამატებითი გეგმა საკონსერვო მრეწველობის მოთხოვნილების (გორის საკონსერვო ქარხანა) დასაკმაყოფილებლად 530 ტონის რაოდენობით ყარაიას რაიონში.

2. ბადრიჯნის კონტრაქტაციისა და დამზადების ჩატარება დაეკისროს საბმხმარებლო ორგანიზაციების ტფილისის კავშირს „საქკონსერვხილბოსტანთან" დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

დაევალოს „საქკონსერვხილბოსტნის“ გორის საკონსერვო ქარხანას—გამოყოს სამომხმარებლო ორგანიზაციების ტფილისის კავშირის დასახმარად ტრანსპორტირაქტაციისა და დამზადების დროს სპეციალური ბრიგადა.

3. კონტრაქტაციით ყარაიას რაიონში ბადრიჯნის ჩაბარების საშუალო სარაიონო ნორმა განისაზღვროს (ერთ ჰექტარზე ტონობით):

კოლექტიური მეურნეობებისათვის	7,0 ტონა
განუსაზოგადოებელი ნათესების მქონე კოლმეურნეებისათვის	7,5 „
ერთპიროვნული მეურნეობებისათვის	8,0 „

4. გაფრთხილებულ იქნას „საქკონსერვხილბოსტანის“ მმართველი ამხ. მატიტაშვილი, გორის საკონსერვო ქარხნის დირექტორი ამხ. ასანიძე და ქუთაისის საკონსერვო ქარხნის დირექტორი ამხ. თავშავაძე, რომ საკონსერვო ქარხნის საწარმოო-საფინანსო გეგმა აგებული უნდა იყოს საკონსერვო ქარხნის ზონის სანედლეულო შესაძლებლობაზე, და რომ გორის და ქუთაისის საკონსერვო ქერხნებმა უნდა იხმარონ ღონისძიებანი, რათა 1936 წლის გეგმაში ბადრიჯანი შეცვლილ იქნას სათანადო ზონაში კულტივირებული სხვა სახის ბოსტნეულით.

5. დაევალოს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—შეიმუშაოს თავის დროზე, ხოლო არა უგვიანეს მე-III კვარტალის დამლევისა, საკითხი იმის შესახებ, რომ საკონსერვო ქარხნები (ქუთაისისა და გორისა) სავსებით უზრუნველყოფილ იქნან სათანადო ასორტიმენტის პროდუქციის ნედლეულით, და თავისი წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. მაისის 22. № 662.

ტფილისი.

ტრანსპორტი

ქუთ. 1935-24-162

109 დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო საავტომობილო ინსპექტორების უფლებათა შესახებ.

„საგზაო მეურნეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ნოემბრის 5-ის დადგენილების მე-14 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 57 №-ი, მუხ. 427) და ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის მოწყობასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაეკისროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექტორებს, რომელნიც მოქმედობენ სსრ კავშირის გზატკეცილების და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს 1935 წ. თებერვლის 14-ის დადგენილებით დამტკიცებული, სსრ კავშირის სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის დროებითი დებულების საფუძველზე, მოვალეობანი ავტოტრანსპორტის არაწესიერ გამოყენებასთან და ავტოტრანსპორტისადმი დაუზოგველ მოპყრობასთან ბრძოლისათვის ყველა უწყებასა და ორგანიზაციაში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

2. მიეცეს აღნიშნულ ინსპექტორებს უფლება—დაადვან საადმინისტრაციო წესით ყველა იმ პირს, რომელიც არღვევს ტრანსპორტის ხაზით დადგენილ წესებს, ინსტრუქციებს, ნორმებს და საზომებს, ფულადი ჯარიმა 100 მანეთამდე, და აგრეთვე უფლება—აძლიონ პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით ავტოტრანსპორტის დაუზოგველად გამოყენებაში, დადგენილი წესების სისტემატურად შეუსრულებლობაში, მეურნეობის საზარალოდ წარმოებაში და სხვა მისთ. დამნაშავე პირნი.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს—გაუწიოს დახმარება საქართველოს სსრ სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის სამმართველოს სადგომებისა და საჭირო ინვენტარის გამოყოფით.

4. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს—გაუწიონ სახელმწიფო საავტომობილო ინსპექტორებს ყოველგვარი დახმარება მათ მუშაობაში, მიუჩინონ-რა მათ სათანადო სადგომები.

5. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობას—ერთი თვის ვადაზე შეიმუშაოს საქართველოს სსრ კანონმდებლობის იმ ცვლილებათა პროექტი, რაც გამომდინარეობს ამა დადგენილებიდან.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. მაისის 11. № 576.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 123 №-ში 1935 წ. მაისის 28.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

110. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

691.7

მხატვართა და მოქანდაკეთა საბინაო უფლების შესახებ.

„საბჭოთა მხატვრებისა და მოქანდაკეების საბინაო პირობების გაუმჯობე-

თებერვლის 4-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. მე-10 №-ი, მუხ. 79), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოქმედება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. აგვისტოს 4-ის დადგენილებისა „სამეცნიერო მომუშავეთა საბინაო უფლების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 21 №-ი, მუხ. 276; და 1934 წ. მე-10 №-ი, მუხ. 95) გავრცელებულ იქნას იმ მხატვრებსა და მხატვარ-მოქანდაკეებზე, რომელნიც ირიცხებიან საბჭოთა მხატვრებისა და მოქანდაკეების კავშირის წევრებად.

2. საცხოვრებელი ფართობი, რაც საბჭოთა მხატვრებისა და მოქანდაკეების კავშირის წევრ-მხატვარს და მოქანდაკეს უჭირავს, უკეთუ იგი განთავისუფლდა, გადაიცემა საქართველოს საბჭოთა მხატვრებისა და მოქანდაკეების კავშირის გამგეობის განკარგულებაში აღნიშნული კავშირების წევრ-მხატვრებისა და მოქანდაკეების ჩასასახლებლად.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1935 წ. მაისის 11, № 40/654.
ტფილისი.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

111. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა" თაობაზე გამოცემული დადგენილების 1, 21 და 23 მუხლების შეცვლისა და იმავე დადგენილებისათვის 1¹ და 30 მუხლების დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ" გამოცემულ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი მუხ. 71) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. 1-ლი მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-10 №-ი, მუხ. 141) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„1. ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ შემოიღონ შემდეგი გადასახადი და გამოსაღები:

ა) სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადი;

ბ) ოთხფეხი საქონლის გადასახადი ქალაქად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გამოსაღები იმ საწარმოთათვის, რომელნიც იძლევიან საჭმლებსა და მაგარ სასმელებს ადგილობრივ მოსახმარებლად, და სასტუმროთათვის;

დ) ფეხზე ვაჭრობის თითოჯერითი გამოსაღები;

ე) სოფლის აღმასრულებლად ყოფნის უფლების არმქონე პირთა გამოსაღები".

2. დაემატოს 1^1 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„1^1. 1-ლ მუხლში აღნიშნულ გადასახადთა და გამოსაღებთა გარდა, დაწესებულია სანახაობათა და გასართობთა ადგილობრივი გადასახადი".

3. 21 მუხლის „გ" პუნქტიდან (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-12 №-ი, მუხ. 163) ამოიშალოს სიტყვები: „(გარდა ტფილისის სახელმწიფო ცირკისა)".

4. გაუქმებულ იქნას 21 მუხლის „$გ^1$" და „დ" პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-18 №-ი, მუხ. 197; 1933 წ. მე-12 № ი, მუხ. 163).

5. 23 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-13 №-ი, მუხ. 108; 1934 წ. მე-12 №-ი, მუხ. 121) დაემატოს „$ე^1$" პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

[23. გადასახადისაგან (სანახაობასა და გასართობზე) განთავისუფლდებიან შემდეგ გასართობსა და სანახაობაზე მიმსვლელნი . . . . .]:

„$ე^1$". ტფილისის სახელმწიფო ცირკში".

6. 23 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-13 №-ი, მუხ. 108; 1934 წ. მე-12, №-ი, მუხ. 121) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** ამა მუხლით დაწესებული შეღავათების გარდა, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს შეუძლიათ მიანიჭონ სხვა შეღავათებიც, ხოლო გადასახადის იმ ნაწილის ანგარიშზე, რაც ჩასარიცხია ადგილობრივ ბიუჯეტში (25 მუხლი)".

7. დაემატოს 30 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„30. წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების ორგანოებს უფლება აქვთ შეამოწმონ ადგილობრივ, რამდენად სისწორით იხდევინება და თავის დროზე გადაირიცხება კუთვნილებისამებრ სანახაობათა და გასართობთა ადგილობრივი გადასახადის ის ნაწილი, რაც ამ საზოგადოებას ერგება".

3. ამა დადგენილების მე-3,4 და 5 მუხლი შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1935 წ. იანვრის 1-დან.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1935 წ. მაისის 11. № 34/648.

ტფილისი.

112. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების სასარგებლოდ კინო-თეატრების ადგილობრივი გადასახადიდან ანარიცხების გადადების დაწესების შესახებ.

„კინო-თეატრების საგადასახადო დაბეგვრის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. იანვრის 2ᲐᲘ-ის თარიღის და 116/206 №-ის დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად (სსრკ-ის კან. კრ. 1935 წ. მე-7 №-ი, მუხ. 54), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნას სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების სასარგებლოდ კინო-თეატრების ადგილობრივი გადასახადიდან ანარიცხების გადადება შემოსული გადასახადის 12 პროცენტის რაოდენობით.

2. დადგენილება ესე შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1935 წ. იანვრის 1-დან.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1935 წ. მაისის 11. № 39/653.
ტფილისი.

ᲨᲠᲝᲛᲐ

113. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„შრომის გმირთა თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაში „შრომის გმირთა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ, მე-12 №-ი, მუხ. 115; 1930 წ. მე-10 №-ი, მუხ. 108) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების მე-8 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„8. იმ შრომის გმირისათვის, რომელიც დაქირავებით არ მუშაობს და რომელსაც სხვა საშემოსავლო წყარო არა აქვს, პენსიის გარდა, საბინაო ქირის განაკვეთი განისაზღვრება მუშებისა და მოსამსახურეების განაკვეთების ᲔᲑᲘ ალო-

ბაზე, შრომის გმირის პენსიის შესაბამისად, ამ პენსიის 50 პროცენტის ანგარიშით".

2. მე-11 მუხლის „ბ" პუნქტი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„ბ) სამედიცინო დახმარება შრომის გმირს გაეწევა რიგს გარეშე და უსასყიდლოდ, ხოლო მისი ოჯახის წევრებს—დაზღვეული მუშების თანაბარ პირობებზე; საკურორტო დახმარების მხრით შრომის გმირი გათანაბრებულია მუშადამკვრელთან".

3. მე-12 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„12. შრომის გმირის შვილები და მის რჩენაზე მყოფი პირები, რომელნიც აკმაყოფილებენ სასწავლებლებსა და აღზრდა-განათლების დაწესებულებებში მიღებისათვის დადგენილ მოთხოვნათ, კერძოდ—რომელთაც დაიჭირეს მისაღები გამოცდები, მიიღებიან პირველ რიგში და განთავისუფლდებიან სწავლისა და აღზრდის სასყიდლისაგან. სწორედ ასევე ისინი იღებენ სტიპენდიას პირველ რიგში, უკეთუ აკმაყოფილებენ სტუდენტ-სტიპენდიატებისათვის დადგენილ მოთხოვნათ".

II.

23-[1] მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა „საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-19 №-ი, მუხ. 202; 1931 წ. მე-15 №-ი, მუხ. 178 და 1933 წ. 21 №-ი, მუხ. 276) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„23-[1]. შემდეგი კატეგორიის მოქალაქენი საცხოვრებელი ფართობის ქირას იხდიან:

პერსონალური პენსიონერი—პენსიის და საშოვარის (თუ საშოვარი აქვს, თანაც შემთხვევითი საშოვარის ჩაუთვლელად) 50 პროცენტის ანგარიშით;

შრომის გმირი, რომელსაც არა აქვს სხვა რამ შემოსავალი, გარდა პენსიისა,—ამ პენსიის 50 პროცენტის ანგარიშით, ხოლო ის შრომის გმირი, რომელიც განაგრძობს მუშაობას დაქირავებით,—საშოვარის მიხედვით, პენსიის ჩაუთვლელად;

ის პირი, რომელიც დაჯილდოებულია სსრ კავშირის, ა/კსფსრ-ის ან საქართველოს სსრ-ის თუ სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ან და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ერთი ან რამდენიმე ორდენით—შეღავათით 10%-დან 50%-მდე; შეღავათის რაოდენობას დააწესებენ ადგილობრივი საბჭოები, დაჯილდოებული პირის შემოსავლის მიხედვით".

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1935 წ. მაისის 11. № 33/647.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის „ 124 №-ში 1935 წ. მაისის 29.

114 დადგენილება ს.კ.ს.

911.4
ეროვნული ბიბლიოთეკა

მასური სკოლების პედაგოგიური პერსონალისა და მომუშავეთა სხვა კატეგორიებისათვის, რომლებიც სამუშაო ხელფასს ადგილობრივი ბიუჯეტიდან იღებენ, თავის დროზე სამუშაო ხელფასის მისაცემად საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

პედაგოგიური პერსონალისა და მომუშავეთა სხვა კატეგორიებისათვის, რომლებიც სამუშაო ხელფასს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსარიდან იღებენ, სამუშაო ხელფასის თავის დროზე მიცემის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება ეძიეცეს საქათველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს:

ა) გადაუგზავნოს იმ რაიონებს, რომლებიც რესპუბლიკანური ბიუჯეტიდან დოტაციას იღებენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, თვეში ორჯერ, არა უგვიანეს 1 და 15 რიცხვისა, სათანადო თანხები, რაც მოხმარებულ უნდა იქნას მარტოოდენ სარაიონო მომუშავეთათვის სამუშაო ხელფასის მისაცემად, პირველ რიგში მასური სკოლების (დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების) მასწავლებელთათვის;

ბ) მისცეს კრედიტების მთავარი (პირველხარისხოვანი) განმკარგულებლის უფლებანი სახალხო განათლების, ჯანმრთელობისა და კომუნალური მეურნეობის სარაიონო და საქალაქო განყოფილებათა გამგეებს, საგზაო და სამიწათმოქმედო განყოფილებათა გამგეებს, სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების აღსრულების წესების შესაბამისად.

2. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს:

ა) აწარმოონ ხარჯები მხოლოდ დამტკიცებული ბიუჯეტების ფარგლებში და არ გაიღონ არავითარი ხარჯი, რომელიც ამ ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული, კერძოდ—გეგმაგარეშე მშენებლობისა და სხვა საჭიროებისათვის, რაც, ადგილობრივი ფინანსების შესახები კანონების თანახმად, არ შეადგენს ადგილობრივი საბჭოების მოვალეობას (სესხი და სუბსიდია სხვადასხვა დაწესებულებას და ორგანიზაციას);

ბ) აღკვეთონ ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული სამუშაო ხელფასის ფონდის გადამეტხარჯვა; ხოლო, უკეთუ არსებობს ისეთი შტატი, რომელსაც სამუშაო ხელფასის ფონდი ვერა ჰფარავს, დაუყოვნებლივ შეამცირონ ეს შტატი და სავსებით შეუფარდონ იგი დამტკიცებულ სამუშაო ხელფასის ფონდს;

გ) ადგილობრივი ბიუჯეტით შესანახ მუშათა და მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის დავალიანების თავიდან ასაცილებლად, არ გასწიონ არავითარი სხვა ხარჯი (გარდა სამკურნალო დაწესებულებებში მყოფ ავადმყოფთა და საბავშვო დაწესებულებებისა და ინტერნატების მოწაფეთა კვებისათვის საჭირო ხარჯებისა), ვიდრე მთლად გადახდილი არ იქნება მორიგი სამუშაო ხელფასი და კა-

ნონით დადგენილი ამ ხელფასის დანარიცხები (სოციალური დაზღვევისათვის, პროფესიონალური ორგანიზაციებისათვის და სხვ.);

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) სამუშაო ხელფასი მასური სკოლების პედაგოგიურ პერსონალს აძლიონ ყველგან თვეში ორჯერ: პირველი ნახევრისათვის—არა უგვიანეს ამა თვის 20 რიცხვისა და მეორე ნახევრისათვის—არა უგვიანეს შემდეგი თვის 5 რიცხვისა;

ე) შემოიღონ, დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, კვარტალური და თვიური საბიუჯეტო-საკასო გეგმების (შემოსავალ-გასავლის) სავალდებულო შედგენა, თვითეულ საგასავლო კარში სამუშაო ხელფასის ფონდის გამოყოფით, კერძოდ—მასური სკოლების პედაგოგიური პერსონალის სამუშაო ხელფასისა (კანონით დადგენილი, ძირითადი სამუშაო ხელფასის ყველა ზედნართით: წელთა ნამსახურეობისათვის, სკოლის და კაბინეტის გამგებლობისათვის და სხვა მისთ.).

3. დაწესებულ იქნას, რომ პასუხისმგებლობა, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 139 მუხლის თანახმად, ადგილობრივი ბიუჯეტით შესანახი მომუშავეების სამუშაო ხელფასის თავის დროზე გაუცემლობისათვის ეკისრებათ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეთ და სათანადო განყოფილებების ხელმძღვანელთ (სახალხო განათლების, ჯანმრთელობის, სამიწათმოქმედო, საგზაო, კომუნალური მეურნეობისა და სხვა მისთ.).

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს და პროკურორს—მისცენ სათანადო დირექტივა სასამართლოებს და პროკურატურის ორგანოებს.

4. დაწესებულ იქნას, დროებით, 1935 წლისთვის, რომ დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების პედაგოგიური პერსონალის სამუშაო ხელფასი შეიტანება სარაიონო ბიუჯეტებში სახალხო განათლების განყოფილებათა ხარჯთაღრიცხვით, და მისი გატარება არ შეიძლება არც სასოფლო ბიუჯეტებში, არც იმ ქალაქების ბიუჯეტებში, რომლებიც გამოყოფილ არ არიან დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად,

შენიშვნა. სკოლების ყველა დანარჩენი ხარჯი გაითვალისწინება სათანადო სასოფლო და საქალაქო ბიუჯეტში.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს:

ა) დაამყაროს ისეთი წესი, რომლის ძიხედვითაც სახალხო განათლების ადგილობრივმა განყოფილებებმა ულდა მიიღონ სასწავლებლების დირექტორების და გამგეებისაგან არა უგვიანეს, ვიდრე სამი დღის შემდეგ ამა დადგენილების მე-2 მუხლის „დ“ პუნქტში აღნიშნული ვადების გასვლისას, ცნობა იმის თაობაზე, რომელ მომუშავეებს და რა თანხის რაოდენობით არ მისცემიათ მორიგი სამუშაო ხელფასი, და დაუყოვნებლივ აუწყონ ეს ცნობები სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ან საქალაქო საბჭოს;

ბ) ყოველთვე იქონიოს თავისი ადგილობრივი განყოფილებებისაგან ცნობები სათანადო კატეგორიის მომუშავეებთან წარსული თვის სამუშაო ხელფასის ხაზით ანგარიშგასწორების მდგომარეობის შესახებ, და არა უგვიანეს 10 რიც-

ხვისა წარმოუდგინოს ეს ცნობები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—არა უგვიანეს 5 დღის ვადისა, ამა დადგენილების მე-5 მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნული ცნობების მიღების დღიდან, უზრუნველყოს სამუშაო ხელფასის მიცემა მასური სკოლების პედაგოგიური პერსონალისათვის სათანადო ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე და ამავე დროს აცნობოს პროკურატურის ორგანოებს სამუშაო ხელფასის არა თავის დროზე გაცემაში დამნაშავე პირთა შესახებ, მათ პასუხისგებაში მისაცემად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 139 მუხლის მიხედვით.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს:

ა) გამოსცეს ამა დადგენილების საფუძველზე, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან და სახელმწიფო ბანკის საქართველოს კონტორასთან შეთანხმებით, პედაგოგიური პერსონალისათვის სამუშაო ხელფასის მიცემის წესები და 5 დღის ვადაზე აცნობოს ეს წესები სათანადო ადგილობრივ ორგანოებს სახელმძღვანელოდ;

ბ) გააუქმოს ყველა ის ინსტრუქცია, ცირკულარი და განკარგულება, რაც ეწინააღმდეგება ამა დადგენილებას;

გ) წარმოუდგინოს 10 დღის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად სარაიონო ბიუჯეტების დოტაციის წლიური გეგმა.

8. მიენდოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან, საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოსთან, სახელმწიფო ბანკის საქართველოს კონტორასთან და გრძელვადიან დაბანდებათა ბანკებთან ერთად, შეამოწმოს ათი დღის ვადაზე სამუშაო ხელფასის დავალიანების აღრიცხვის არსებული პრაქტიკა და დაამყაროს ამ აღრიცხვის მეთოდოლოგია, რაც უნდა უზრუნველჰყოფდეს აღრიცხვის სისწორეს და ერთსახეობას.

9. მიენდოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს იხმარონ ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს ამა დადგენილების განხორციელებას ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1935 წ. მაისის 20. № 645.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 117 №-ში 1935 წ. მაისის 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის სამართალი

115. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისათვის 110² მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 110² მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„110². აზარტული თამაშობის (ბანქო და სხვა მისთ.) ბუნაგის შენახვა გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ან ჯარიმას სამი ათას მანეთამდე.

ბუნაგებსა და საზოგადოებრივ ადგილებში (ქუჩა, მოედანი, ბაზარი და სხვა მისთ.) გამართულ აზარტულ თამაშობაში მონაწილეობის მიღება—

იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ჯარიმას ერთი ათას მანეთამდე.

აზარტულ თამაშობაში მცირეწლოვანთა ან არასრულწლოვანთა ჩათრევა—

ამა კოდექსის 82¹ მუხლში აღნიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებას.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1935 წ. მაისის 21. № 43/657.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 120 №-ში 1935 წ. მაისის 26.

---

116. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 112 და 190 მუხლების ამოშლის შესახებ.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისათვის 185¹ მუხლის დამატებისა (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 25 №-ი, მუხ. 198) და საზომ-საწონთა შესახები, სსრ კავშირის მთავრობის შემდგომი კანონმდებლობის გამო (სსრკ კან. კრ. 1935 წ. მე-6 №-ი, მუხ. 47), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის (1933 წლის გამოცემა) 112 და 190 მუხლები ამოიშალოს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1935 წ. მაისის 11. № 41/655.
ტფილისი.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

117. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 297 მუხლის შეცვლის შესახებ.

სახელმწიფო ორგანოებსა, კოლმეურნეობებსა, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის დავათა გამო სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების შესახებ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის სექტემბრის 3-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 44 №-ი, მუხ. 347), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 297 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-5 №-ი, მუხ. 79) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„297. აღსრულებითს მოქმედებას სასამართლო აღმასრულებელი შეუდგება გადამხდევინებლის სიტყვიერი ან წერილობითი განცხადებით ან და სასამართლოს და გამომძიებლის უშუალო წინადადებით, სათანადოდ გაცემული აღსრულებითი საბუთის საფუძველზე, უკეთუ ამ საბუთში აღნიშნულ გადაწყვეტილებას ძალა არ დაუკარგავს იმის გამო, რომ გასულია ვადა: ერთი წლისა—სახელმწიფო დაწესებულებებსა და საწარმოებსა, კოლმეურნეობებსა, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის დავათა გამო და სამი წლისა—ყველა სხვა დავათა გამო“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1935 წ. მარტის 29. № 27/276.
ტფილისი.

№
ეროვნული ბიბლიოთეკა

118. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულებიდან მე-9 და მე-2 მუხლების ამოშლის შესახებ.

ვინაიდან, საერთო-საკავშირო კანონმდებლობის წესით, განსაზოგადოებულ სექტორის ორგანიზაციების დავათათვის დადგენილია სასარჩელო და აღსრ ლებითი ხანდაზმულობის ახალი ვადები (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 44 №-ი, მუ 347, 52 №-ი, მუხ. 404), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ ლებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენ

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულებიდან (საქ. სს კან. კრ. 1934 წ. მე-4 №-ი, მუხ. 50) ამოიშალოს მე-9 და მე-20 (შენიშვნ თურთ) მუხლები.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1935 წ. მაისის 11. № 36/650.
ტფილისი.

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1935 წ. № 31. პ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**
კორექტორი **ფ. სოკოლოვსკი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 1 1/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 28/V; ხელმოწერილია დასაბეჭდად 28 /VI; ტირაჟი 1.800

მთავრ. რწმ. ს.—№ 8749 საქ. სსრ. სახ. კომ. საბჭოს ...